ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 9

ქ. ონი 28. 09. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 11 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, გივი მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, თეიმურაზ ცეცაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

არ ესწრებოდა: ნოდარ ბურდილაძე

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილების უფროსი გელა მეტრეველი, ა(ა)იპ კულტურის სახლის დირექტორი მალხაზ ჯაფარიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მიერ მომზადებული ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის შესაბამისობის აუდიტის ,,რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანგარიში“-ს შესახებ.

მომხსენებელი: გელა მეტრეველი-შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 დეკემბრის #27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

3.ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ლობჯანიძე-ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ კულტურის სახლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2022 წელს საშეშე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხები: **2.** ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 დეკემბრის #27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **3.** ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, საჭიროა გადაიდოს მომავალ სხდომამდე, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული პროექტების განსახორციელებელი თანხა გათვალისწინებული არ არის.

დღის წესრიგი, აღნიშნული საკითხების გარეშე, დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

მოისმინეს: 1. .,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მიერ მომზადებული ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის შესაბამისობის აუდიტის ,,რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანგარიში“-ს შესახებ.

მომხსენებელი: გელა მეტრეველი-შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მიერ მომზადებული ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის შესაბამისობის აუდიტის ,,რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანგარიში“-ს შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ს. გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს. ა(ა)იპ-ის დირექტორი ესწრებოდა განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას, სადაც განიხილებოდა აღნიშნული საკითხი და აღსანიშნავია, რომ იგი არ ეთანხმება არცერთ შენიშვნას, არცერთ ფაქტს, რაც ასახულია დოკუმენტში, ამბობს, რომ აკეთებს ყველაფერს და ანგარიშში მოყვანილი ფაქტები არასწორია. იგი აღნიშნავს, რომ მას აქვს კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის მერიასთან სხვადასხვა საჭიროებების მოთხოვნით, თუმცა მერიის მხრიდან მხარდაჭერა არ არის.

ლ. შერაზადიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვის გამოხატავს მხარდაჭერას ა(ა)იპების მიმართ, არ არსებობს კომუნიკაციის პრობლემა ა(ა)იპების ხელმძღვანელებსა და მერიის შესაბამის სამსახურებს შორის. მერიაში არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, არც ერთი ოფიციალური მომართვა ა(ა)იპ ონის ბიბლიოთეკის დირექტორის რაიმე სახის მოთხოვნის შესახებ.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ ცხადია, შენობა ვერ ქმნის ბიბლიოთეკისთვის შესაფერის გარემოს, თუმცა ეს ხელს არ უშლის წიგნადი ფონდის აღწერას და ჩამოწერას.

გადაწყდა: წარმოდგენილი საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ კულტურის სახლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ა(ა)იპ კულტურის სახლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნა ა(ა)იპ-ის მუშაობის დადებითი მხარეები, ისაუბრა სპექტაკლების შესახებ, როგორც კულტურის სახლის სუსტ მხარეზე, ასევე, თოჯინების თეატრის აუცილებლობაზე.

ბიუროს წევრებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტში რეჟისორის პრობლემაზე და აღნიშნეს, რომ რადგან კადრი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში არ არის, საჭიროა რეჟისორის მოწვევა.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2022 წელს საშეშე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2022 წელს საშეშე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე